

განმარტებითი ბარათი

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტის თაობაზე

ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის თაობაზე

ა.ა. კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს კანონში ხარვეზის არსებობა, რაც გამოიხატება შემდეგში: კანონის მოქმედი რედაქციით სამსახურში მიღებისას და დაწესებულების რეორგანიზაციის შემთხვევაში, რომელსაც თან სდევს შტატების შემცირება, მოხელისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დგინდება შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტით. რაც შეეხება პარლამენტის აპარატს – დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ადგენს პარლამენტის თავმჯდომარე. კანონში ხარვეზის არსებობა გამოწვეულია იმით რომ პარლამენტის თავმჯდომარეს არ აქვს ნორმატიული აქტის გამოცემის უფლება, რაც საჭიროებს რეგულირებას.

ა.ბ. კანონპროექტის მიზანი.

პროექტის შემუშავების მიზანია კანონში არსებული ხარვეზის აღმოფხვრა და პარლამენტის აპარატის შემთხვევაში დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენის საკითხის რეგულაცია.

ა.გ. კანონპროექტის არსი.

პროექტის თანახმად ცვლილება შედის კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტში, რის შესაბამისადაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს მიეცემა საშუალება დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაადგინოს სამართლებრივი აქტით.

ბ.ა. კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

პროექტის მიღება არ საჭიროებს ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ. სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

პროექტის მიღება არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტით არ ხდება გადასახდის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

კანონპროექტი შესაბამისობაშია მოცა საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტებს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

პარლამენტის წევრი ხათუნა გოგორიშვილი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.

პარლამენტის წევრი ხათუნა გოგორიშვილი